KA030184138071918

№ 01-2722/ს **19 / სექტემბერი / 2018 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთლობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ზაზა ბოხუას

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის
სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ზაზა,

მოგახსენებთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2018 წლის 26-27 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქ. ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის 73-ე სესიის ფარგლებში ტარდება მაღალი დონის შეხვედრები ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლისა და არაგადამდები დაავადებების პრევენციისა და კონტროლის საკითხებზე.

აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით საქართველოს დელეგაცია განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით:

1. დავით სერგეენკო - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;
2. ამირან გამყრელიძე - სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი;
3. სოფიკო ბელქანია - სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
4. ნინო ოდიშარია - სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბატონი დავით სერგეენკოს კანდიდატურა შერჩეულ იქნა ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე პირველი მულტისექტორული პანელის თანათავმჯდომარედ.

ამასთან, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იგეგმება საყოველთაო ჯანდაცვის თემაზე მაღალი დონის პარალელური შეხვედრის გამართვა, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია მინისტრის სიტყვით გამოსვლა საქართველოში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მიმდინარეობის თაობაზე. ამავე ღონისძიებაზე დაგეგმილია ინიციატივის: „ჯანდაცვის საერთაშორისო პარტნიორობა UHC2030“ მხარდაჭერა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ორმხრივი შეხვედრები ევროპის სხვადასხვა ქვეყნის (ესტონეთი, გერმანია, ბელგია, ჩეხეთის რესპუბლიკა და სხვ.) ჯანდაცვის მინისტრებთან და საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პარტნიორული თანამშრომლობის გაღრმავებისა და მომავალი ინიციატივების განხილვის მიზნით.

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ბატონი დავით სერგეენკოს სამივლინებო ხარჯების (მგზავრობა, სასტუმრო, დღიური ნორმა) ანაზღაურება.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ მინისტრისთვის, სოფიკო ბელქანიასა და ნინო ოდიშარიასთვის მივლინების ბრძანების გაფორმებას 2018 წლის 25 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, ასევე, სოფიკო ბელქანიასა და ნინო ოდიშარიასთვის მგზავრობის, ფაქტიური ხარჯის მიხედვით სასტუმროსა და დღიური ნორმის ანაზღაურებას, ხოლო ბატონი დავით სერგეენკოსთვის - დღიურ ნორმაზე დანამატის ანაზღაურებას.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მარიანა მკურნალი